

1
1950

ნიაზი

№ 14. ივლისი, 1950 წ. გამომცემლობა
„კომუნისტი“. წელი XXVII. ფასი 2 მან.

177
გეგმვისა და
პროექტისა

საქართველოს სსრ სსხ წიგნის პალატა
№ 177
ქართული
ლიტერატურა



ნახ. ა. ბანძელაძისა

მოლაყბა და მშენებლები

მას ტრიბუნა ისე უყვარს,
როგორც ირემს იადალი,
მას ჰგონია — ენა არის
წარმოების იარაღი!

ოცდაათი წელიწადი
თუმც არ დაუსვენებია,
ეს ქვეყანა დაპარაკით
მას არ აუშენებია!

მშენებლები ვაშენებდით,
პრობა იყო ჩვენი ღხენა...
იგი ჩვენი წარმოების
იარაღმა ააშენა!

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР



სურდა მას მამად გახდომა,
სურდა აკვანი ერწია,—
და სხვისი შვიდი იშვილა,
რადგანაც თვითონ ბერწია.

კვებავდა ყმაწვილს დოღარით...
მაგრამ სად იყო, სად არა —
მოფრინდა მწერი და უცებ
ფრენით შეაკრთო პატარა.


მწერს ფხიზრად დახვდა გამძელ ც,
გონებით ნატომარით,—
ერთ წამში მოიგერია
დოღარით სავსე ტომარით!

ოი, საბრალო ყმაწვილო,
დასრულდა შენი იგავი,—
ნეტავი ვისი მთავრობა,
ან ვისი პირმშო იყავი!

კურთხევა პაპისა მარხაღიზაგულ თავთა ზაღა...



ბაბუა



ნახ. დონისა

იის ტოტებით მოჩრდილულ აივანზე გადამდგარიყო
ბაბუა გიორგი და შარაგზას გაჰყურებდა. ორი, თეთრბა-
ლათიანი ახალგაზრდა ხელების ქნევით მიჰყვებოდა პატარა
დაღმართს, ხანდახან ჩერდებოდნენ, ისინი აივნისკენ აპა-
რებდნენ ღიმილმორეულ მზერას... და მერე ისევ განაგრძობ-
დნენ სვლას.

ხელები ზურგს უკან შემოედო ბაბუა გიორგის, სახე
ხან მოელუშებოდა, თითქოს ვინმეზეა გაჯავრებულიო, ხან
კი შუბლი გაეხსნებოდა და ღიმილი თეთრმერეულ უღვა-
შებს აუტოკებდა. თითქოს აწყენინეს და ასიამოვნეს კიდე-
ვაც ბაბუა გიორგის, თითქოს თვითონაც კერ გადაეწყვიტა
გაბრაზებულიყო თუ არა. როდესაც თითებში მივიწყებულმა
„პრიმამ“ კანი დაუწევა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა ფიქრები-
დან. პაპიროსი ეზოში გადაისროლა, კიდევ ერთხელ გააყოლა
თვალი დაბლობზე ჩასულ ახალგაზრდებს და ხმამაღლა წაი-
ბუტბუტა:

— უცნაური ხალხია ეს ახალგაზრდები, უცნაური!

გიორგი შემობრუნდა, კედელზე მიყუდებული ყავარჯენი
მოიმარჯვა და ოთახში შევიდა. მაგიდას ისევ იმ ადგილას
მიუჯდა ნახევარი საათის წინ რომ იჯდა და კიქაში ჩატო-
ვებული ღვინო მოსვა. თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდაზე
ორი ცარიელი თეფში იდო, მხოლოდ გიორგის თეფშზე დარ-
ჩენილიყო ხაჭაპურის პატარა ნატეხი. მთელი ოჯახი კოლ-
მეურნეობის ვენახში იყო გასული და გიორგის მარტო მო-
უხდა სტუმრების გამასპინძლება. ცარიელ სკამებს რომ გა-
დახედა, პირმცინარე და შავულვაშებიანი ახალგაზრდების
სახეები წარმოუდგა თვალწინ და მთელი იმდღევანდელი ამ-
ბავიცი გაახსენდა... დილით აივანზე იჯდა ბაბუა გიორგი და
ვენახის საწამლაჲ მანქანას დაზიანებულ დგუშს უსწორებდა.
ძაღლის ყეფა რომ გაიგონა, კიშკრისკენ გაიხედა და პირ-
ველად მაშინ მოჰკრა თვალი იმ უცხო ახალგაზრდებს... ძალ-
ლი რომ დაბმული ივლევს პირდაპირ შემოაბიჯეს კიბეებზე
და ბაბუას მიესალმნენ. შეცბუნებულმა გიორგიმაც ძველი
ნაცნობივით გაუწოდა შაბიამნიანი ხელი ახალგაზრდებს.
„ჩვენ უნივერსიტეტის სტუდენტები ვართ,—წარმოთქვა ერ-
თმა მათგანმა,—მეზობელ სოფელში ვისვენებთ და დავალე-
ბული გვაქვს ამ რაიონში გავრცელებული ხალხური ზღაპ-



გურჯაანის ვენახებში

ნან. ი. ქაქიაშვილისა

— გაიღვიძე, ობერ, გურჯაანის ვენახებში შევდივართ.
— რაო? ვენახებში ყურძენი დამწიფებულა თუ?
— არა, ვენახებიდან ვაგონებში ელექტროშუქი შემოანათებს, და ჩვენც ვისარგებლოთ — ბილეთები შევამოწმოთ!

გიორგის ზღაპრები

რები და ლეგენდები ჩაფიწროთო, კოლმეურნეობის თავ-
მჯდომარეს ვკითხეთ და თქვენთან მოგვასწავლაო. სიხარუ-
ლით ცას ეწია მაშინ ბაბუა გიორგი, დიდი ხანი იყო, რაც
არ მოეყოლა თავისი საყვარელი ზღაპრები; მისი ერთადერთი
შვილიშვილი უკვე დაიჯიქა ცეცხლიყო და აღარ სცალოდა
ზღაპრებისათვის. ახლა, პირიქით, ბაბუა ეხვეწებოდა: „მოდი,
მოგიყვები ზღაპარსო... ის ახალგაზრდებიც ხომ ვაქცავენს
ჰგავდნენ, მაგრამ ისე მოწიწებით სთხოვეს ზღაპრები გვიამ-
ბეთო... ბაბუა გიორგიმ ძლივს მონახა თაროზე შემოდებული
წუხანდელი ხაჭაპური, მისი ნატეხი რომ ედვა ახლა წინ,
შაქარივით ტკბილი ხვანჭკარა ჩამოასხა და ახალგაზრდებს
სთხოვა: „თქვენ შეეჩვიეთ და მე გვიამბობთო“, ყმაწვილებმა
თათო-თითო ჭიქა დასცალეს, მერე ერთმა მათგანმა რვეული
და ფანქარი მოიმარჯვა და მასპინძელს მიაშტერდა. გიორ-
გიმ დინჯი ხმით დაიწყო ზღაპარი: „ერთი ჭკვიანი მეფე
ცხოვრობდაო, სატახტო ქალაქი ერთ მშვენიერ წალკოტში
ჰქონდა გაშენებული... ერთხელ მის სამფლობელოში ცხრა-
თავიანი დევი შემოიჭრა და მეფეს ქალიშვილი სთხოვა ცო-
ლად, მეფემ უარი შეუთვალა. მაშინ გაანჩხლებულმა დევმა
უზარმაზარი მთები მოსთხარა, იმ მდინარეს, რომელიც მე-
ფის წალკოტს ანაყოფიერებდა, გზა გადაუკეტა და რაც თვალ-
უწვდენელ ველზე მცენარეები და ხეები იზრდებოდნენ, სულ
გადაჰკვნენ... დადარდიანდა მეფე, გულადი რაინდები მი-
დიოდნენ დევთან საბრძოლველად, მაგრამ უკან არავინ ბრუნ-
დებოდა. ბოლოს მეფემ ხალხი შეჰკრიბა... დევი მოჰკლეს...
მთები გასთხარეს, შიგ მდინარე გამოატარეს და ველზე კვლავ
გაცოცხლდნენ ყვავილები...“ ამ ადგილზე რომ მივიდა ბა-
ბუა გიორგი, ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს.

— რა, გაგონილი ხომ არ გაქვთ, ბაბუა, ეს ზღაპარი?
— იკითხა გიორგიმ.

— არა, მაგრამ... სხვა ზღაპარი გვიამბე, ბაბუა... უფ-
რო ზღაპრული... დაუჯერებელი! — თქვა ფანქარმომარჯვე-
ბულმა ყმაწვილმა და სამგორის არხის მშენებლობა გაახსენ-
და, დასათვლიერებლად რომ წავიდნენ უნივერსიტეტიდან.
იწყინა ბაბუა გიორგიმ, ზღაპარი დამიწუნესო, მაგრამ
არ შეიმჩნია და ახლა მეორის მოყოლას შეუდგა: „ერთი და-
ვრდომილი მოხუცებული ცხოვრობდაო, ერთადერთი ქალი-

შვილი ჰყავდა და მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდაო. არა-
ჩვეულებრივი სილამაზის გარდა, ქალიშვილს არაჩვეულებრი-
ვი ღონე ჰქონდა, ვერც ერთი ვაჟი-ცოც ვერ ჯობნიდა მუშა-
ობაში და თვალუწვდენელ ყანებს მარტო ხნავდა და მარტო
ამუშავებდაო. როდესაც ქვეყანას მტერი დაესხმებოდა თავ-
ზე, ისიც ვაჟი-ცოცით შეიარაღდებოდა და...“

გიორგიმ მოულოდნელად შესწყვიტა ზღაპრის მოყოლა;
მან შეამჩნია, რომ ახალგაზრდებმა კვლავ გადახედეს ერთმან-
ეთს, მერე უხერხულად შეხედეს მოხუცს. არც ამ ზღაპრის
ზღაპრულობა სჯეროდათ ახალგაზრდებს; „სხვა მოგიყვები
და იმას ჩაფიწროთ“. მაშინ კი მართლა იწყინა ბაბუა გიო-
რგიმ, „აბა მეტი აღარ ვიციო“, იცრუა და კარებში შემო-
სულ პატარა ბიჭუნას ხელი დაუქნია „მოდიო“. ბიჭუნას ეტ-
ყობოდა ბევრი ერბინა და ძლივს ლაპარაკობდა: „ცაგია დე-
ილამ შემოგიფალათ, ვენახის საწამლაღი მანქანა, თუ შეა-
კეთე, გამოავაზენე... მჭირდებაო“... გიორგი აივანზე გაჰყვა
ბიჭუნას, მანქანა ზურგზე აჰკიდა და კვლავ ოთახში შებრუნ-
და. „ცაგია ჩემს რძალს ჰქვიაო, — უთხრა ახალგაზრდებს, —
ჩემი დაღუპული ვაჟის მაგიერია... წელს შრომის გმირობის
ვარსკვლავზეა წარდგენილი, ბრიგადირია და მთელს სოფელ-
ში ყველაზე კარგად უვლის ვენახსო... იმდენი მოსავალი
მოიტანა კოლმეურნეობიდან, რომ ეს ოდაც ააშენაო. მუშა-
ობაში ვაჟი-ცოცებიც ვერ ჯობნიანო“. განგებ ჰყვებოდა თავისი
რძლის ამბავს გიორგი; იქნებ ზღაპრების მოყოლა აღარ
მთხოვონ ამ ეშმაკუნებმა, თორემ სულ შემარცხვენო. რო-
დესაც ხელახლა ავსებდა ჭიქებს, ბაბუა გიორგიმ შეამჩნია,
რომ ფანქარმომარჯვებული ყმაწვილი რალაცას გამალებით
იწერდა თავის რვეულში... ბოლოს გაბრწყინებული თვა-
ლები მოხუცს მიახატა და საზეიმო ხმით წარმოთქვა: „ეს
ყველაზე საინტერესო ამბავია ბაბუა, თუ თქვენი ზღაპრები
დავიწუნეთ, სამაგიეროდ თქვენი რძლის ამბავი მოგვეწონა.
ჩაფიწროეთ და დღესვე გავუზავნით ქალაქის რომელიმე გა-
ზეთსო“...

... მოგონებიდან გამოერკვა ბაბუა გიორგი: „უცნაური
ხალხია ეს ახალგაზრდები, უცნაური“. კვლავ ჩაიბუტბუტა
მან, აივანზე გავიდა და შორს მიმავალ გზას გაჰხედა. ახალ-
გაზრდები უკვე თვალს მიჰფარებოდნენ.

ელდინა ყიფიანი

ბატონის თავ-ფეხი



ცხვრის თავი, ბატონის თავ-ფეხი, დანიერული!

ეს თავისებური თბილისური „დელიკატესი“ გახლავთ. ძველი სირაჯხანის აშაშხანებში ზემოხსენებული ასორტიმენტი სავალდებულო იყო. იქ ნივრის სუნი და თავ-ფეხის ბული ტრიალებდა, ზურნა ჰყიპინებდა და „ბაბანი ჯეჟლებს“ სადღეგრძელოები ისმოდა.

ჩვენს სასაუბრებსა და სასადილოებში ეს არც დამახასიათებელია და არც სავალდებულო. აქ არის სავალდებულო ასორტიმენტი და საბჭოთა კულტურული ვაჭრობის სავალდებულო წესი. არის პროდუქტების სპეციალიზაცია, ცხვრისა თუ ბატონის თავ-ფეხის ვაჭრობა არავის გაუუქმებია, მაგრამ ეს პროდუქტი სასაუბრების ასორტიმენტში არ შედის, იქ დაუშვებელია რაიმე პროდუქტის უფაქტუროდ შეძენა-გასაღება, ასე ვთქვათ, თავ-ფეხის კონტრაბანდა დანაშაულად ითვლება.

ეს მარტივი საკითხია, სულ უბრალო, იმდენად ნათელი, რომ გემოვნების კავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარისათვისაც კი გასაგები უნდა იყოს.

მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს, თბილისის ერთ-ერთ სასაუბრეში (სასაუბრე № 155) კონტრაბანდათ შეიპარა ერთი თარისი ბატონის თავი, თავისი ოთხი ფეხით. ნუ გაგიკვირდებათ, რომ მოხარული თავ-ფეხი ასეთ „შეპარვას“ ახერხებს. ეს ხდება უბრალოდ, იმდენად უბრალოდ, რომ იმავე გემოვნების კავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარეს გულუბრყვილობა არ ჰყოფნის გაიგოს, თუ როგორ ხდება ეს უბრალო ამბავი?

ჩვენ კი უმაღლესი გავიგეთ: თავ-ფეხი უფაქტუროდ შეპარა აღნიშნული სასაუბრის მებუფეტე ჩლაიძემ. გთხოვთ იცნობდეთ ჩლაიძეს: ტანად ბრგე და მხარბეკიანი, ლაქდაჟა და რკინისმკვნიტელა კაცია. აბა ასეთ კაცს როგორ გაუძნელდება ბუფეტში ბატონის თავ-ფეხის შეპარება—თუნდაც ის მოხარული იყოს?

ცხადია, ეს „შეპარება“ ერთ დღეს არ მომხდარა, მაგრამ ერთ დღეს მას უფროსმა ინსპექტორმა პატარიძემ წაასწრო. ჩლაიძემ უცებ დევური თათი დაჰკრა დახლს, იქიდან რაღაც დაბლუჯა და დახლქვეშ შეუძახა.

—რა იყო კაცო, ისეთი, რომ ქვეშ უკარი თავი?
—ესა? ეს არაფერი. ეს ერთი საცოდავი ბატონის თავ-ფეხი გახლავთ!— დაბნევით მიუგო ჩლაიძემ.

—თავ-ფეხი? საიდან?
—ძმამ მომიხარშა და გამომიგზავნა. კეთილი ბიკია. ზრუნავს მზიერი არ დავრჩე.

ინსპექტორმა გაკვირვება გამოთქვა.
—შე კაი კაცო, ბუფეტში ამდენი საკმელი გაქვთ და მაინც ძმის სამოწყალო გახდით?

—როგორ გეკადრებათ? ჩვენი ბუფეტის საკმელს ვკაპ?!

ინსპექტორი კიდევ უფრო განცვიფრდა. როგორ, ჩლაიძე საკუთარ დამხადებულ საკმელს არ კადრულობს? აშკარაა, აქ უფაქტურო საკონლის გასაღებასთან გვაქვს საქმე.

—თუ მიკადრებთ, დაგპატივებთ,—გააწყვეტინა ფიჭვი ჩლაიძემ,—იციტ რა თავ-ფეხია! სულ რაღაც გასდის, თანაც ნიორში ჩაწებული, ღვინოც მოგწონებათ, ერთი სიტყვით, ტბილი ლუკმა შევკამოთ!

გულცივი და უპურმარილო აღმოჩნდა ინსპექტორი პატარიძე, მან უფაქტუროდ შემოპარებული ბატონის თავ-ფეხის შესახებ აქტი შეადგინა და სასადილოების ტრესტის მმართველობას მიაართვა.

ჩლაიძე და სასაუბრის გამგე დაუშვილიც დაფაცურდნენ. ზუმრობა საქმე როდის იყო, პატარა ბატონის თავი შესაძლოა ვაჭრობის წესების დამახინჯების გამომქადნების დიდი საბაბი გამხდარიყო. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, და „გასამართლებელი“ ფორმულა გამოიწვინეს:

—მოდი, ბიკო, პროფკავშირის მიმართე და დაარწმუნე, რომ ავადა ხარ,—ურჩია ჩლაიძეს დაუშვილმა.

—მერე რა გამოვა?

—ის გამოვა, რომ დიეტაზე ხარ და ბუფეტის საკმელს ვერა სკამ.

—ჰო, ეგ კარგი რჩევაა, რა ავადმყოფობა მოვიგონო?

—აი, ვთქვათ, ბრუცელოზა!

—კი, მაგრამ ბრუცელოზიანს ნივრიანი ბატონის თავ-ფეხი რომ არ ეკმევას!

—კიდევ უკეთესი: კუპის წყლული გაქვს!

—აი ეგ მშვენიერია, მაგრამ ნიორს რა ვუყოთ?

—ნიორს სულაც ნუ ვახსენებთ, სთქვი, რომ თავ-ფეხს სკამ-დი ბორჯომის წყლით. რა გენაღვლება, აკოფოვი თვითონ ეცდებოდა დაგიჯეროს და დაგიცავს, ჩვენც დაგიდასტურებთ!

მოიფიქრეს და დაადგინეს, არხა შეადგინეს და გემოვნების პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე აკოფოვს წარუდგინეს. აკოფოვმა პირწმინდად „დაიჯერა“ ჩლაიძის ლეგენდა, კუპის წყლულის გამო თანაგრძნობა გამოუტანდა, დიეტის დაცვა ურჩია და დახმარებას შეპირდა.

ამასობაში ტრესტის ადმინისტრაციამ თავისი დასკვნა გამოიტანა, უფაქტურო პროდუქტებით ვაჭრობისათვის ჩლაიძე მოხსნა ჩლაიძემ ტრესტის დადგენილება გაასაჩივრა. საკონფლიქტო კომისიის სხდომაზე აკოფოვი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა და მკვერ-მეტყველურად ამტკიცებდა, რომ საწყალი მებუფეტე კუპის წყლულითაა დაავადებული და თუ არა ნორჩი ბატონის თავ-ფეხი—იგი აქამდე ფეხებს გასკიმადა.

ჩლაიძე უნდა აღადგინონ და თანაგრძნობის ნიშნად დღეში თითო ბატონის თავიც გაუგზავნონ! დანარჩენს... (დანარჩენ ბატონის თავ-ფეხს) თვითონ შეიძენს ბაზარში, ძმა მოუხარშავს და უფაქტუროდ შეიტანს სასაუბრეში „ტბილი ლუკმის“ მოყვარული ძმაკაცების გასამასპინძლებლად!

შაბაშ აკოფოვ! აი, როგორ იბრძვი თურმე სწორი, კულტურული საბჭოთა ვაჭრობის დამრღვევთა წინააღმდეგ!

მაგრამ საკონფლიქტო კომისიაც და ტრესტის ადმინისტრაციაც უგულვონი აღმოჩნდნენ, ჩლაიძე არ აღადგინეს, და რამდენადაც ვიცით, ამ მაგალითზე სხვა სასაუბრეებშიც გააძლიერეს დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლა.

რალა თქმა უნდა, რომ ეს მეტად მოსაწონი ლონისძიებაა, იმდენად ბუნებრივი და ნათელი, რომ ყველა მომხმარებელს, ყველა გონიერ მოქალაქეს სწორედ ასე უნდა ესმოდეს, მათ შორის თვით პროფკავშირის თავმჯდომარესაც.

მაგრამ რატომ არ ესმის ეს ასე აკოფოვს? რატომ უდის მის მოქმედებას ნივრიანი ბატონის თავ-ფეხის სუნი?

საკითხავი აი ეს არის.


შარსადანი





მკვიდრ ძმასავით თანშეზრდილი
ამხანაგი გვეყავდა ერთი,
დიდი კაცი გახდა ალბათ,—
თავს გრძნობს ისე, როგორც ღმერთი.

ხედავ? არც კი შეგვაძინია
ავიქცია უინჯად გვერდი.
როცა შალა იიწევა
ასეთია ზოგიერთი!



დღეს ქვეითად დავინახეთ,
გაოცებით მივაჩერდი, —
ახლა თვითონ მოგვესალმა,
ძირს დახრილი ჰქონდა მკერდი,

სჩანს, პორტუგელი ჩამოართვეს,
ჩამოართვეს ყველა წერტილ...
და ამიტომ გვიცნო კიდეც...
ასეთია ზოგიერთი!

კუჩხა - გედნიერი



ნახ. გ. ლომიძისა



ყველა პროფესია, რომელსაც კარგად ხარ დაუფლებული, საპატიო და მიმზიდველია. მკურნალის პროფესიას ხომ რაღა შეედრება: ხარ შენთვის, მოდის ავადმყოფი, ეკითხები; აგიხსნის რა სტკივა და დიაგნოზიც მზად არის.

მაგრამ ძნელია იყოთ პირუტყვის მკურნალი. უცებ - ულაპარაკოდ და უდიაგნოზოდ გაქიმავეს ფეხებს რომელიმე ძროხა, ღორი თუ ხბო. ადექი და გაიგე რა სტკიოდა, რა სახელი დაარქვა ავადმყოფობას?

სწორედ ამან გაუჭირა საქმე გვერუკორის რაიონის სოფელ ვედიდკარის კოლმეურნეობა „შეერთებული ძალის“ ტექნიკოს-ვეტერინარს დავით პატარაიას. მაგრამ დღეგრძელობა ნუ მოაკლოს აქტების შედგენის მომგონს. აქტებმა „იხსნეს“ პატარაია.

გასულ წელს კოლმეურნეობაში ბევრი პირუტყვი დაეცა უდიაგნოზოდ: 15 სული მსხვილი რქოსანი, 2 ცხენი, 14 ღორი. წარამარა დარბოდა დავითი ფერმიდან ფერმაში, ხელში საწერკალამი ეჭირა და აქტებს თვალის დახამხამების უმაღ ადგენდა.

ასეა წელსაც: აგერ გაიხედავს დავითი და ხედავს გოჭმა წაიღო მისი ქირი. აიღებს და შეადგენს აქტს—გაჩოძების დიაგნოზს, ხელს მოაწერს და მორჩა, მაგრამ მის კალამზე მელანი შეშრობას ვერ ასწრებს, რომ კვლავ სააქტო საქმე უჩნდება: გამოიხედავს და კიდევ რამდენიმე გოჭი დაცემულა. ისევ გამოგონილი დიაგნოზები.

მაგრამ აქტები დგება ფაქტების შემდეგ. დავითი არავითარ პროფილაქტიკურ ზომებს არ ღებულობს, არ იკვლევს საქონელს, წინასწარ მკურნალობაზე არ ფიქრობს.

ამის შედეგია ის, რომ მიმდინარე წელსაც ვერ აიცილა თავიდან აქტების შედგენა და დიაგნოზების ძებნა.

ამას წინათ კოლმეურნეობას მეძროხეობის ფერმიდან აცნობეს, ერთი ხა-

რი წაიქცა და სიკვდილს—აპირებდა დაავითი იმ წამსვე ფერმაში გაჩნდა, ხარს ბევრი უტრიალა, მაგრამ ვერაფერი გაუგო. ამის შემხედვარე ხარმა თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა, დავითმა კი ახალი დიაგნოზი გამოიგონა: სიბერის გამო დაეცო, — „დაასკვნა“ და აქტი გამოაცხო.

წელს, ხუთ თვეში, 4 ძროხა, 5 ღორი და 1 ცხენი განშორდა წუთისოფელს ისე, რომ თავისი ავადმყოფობა არ გაუმხელიათ. დავითი კი წერს და წერს აქტებს.

—მომკლა ამ აქტების წერამ, ნეტავი როდის მოეღება ბოლო?—შესჩივის იგი მეგობრებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მართლაც დროა კოლმეურნეობაში ბოლო მოეღოს პირუტყვის სიკვდილიანობის შესახებ აქტების წერას. მაგრამ რა იქნება ამისთვის საჭირო?—პირუტყვის მოვლა-პატრონობა და დროული ვეტპროფილაქტიკა. არა?

შეიძლება ვინმემ გვიპასუხოს — ეს დავითს არ შეუძლიან!

რა ვუყოთ, მაშინ ეს საქმე იმან უნდა გააკეთოს, ვისაც ნამდვილად შეუძლიან.

ბ. კარაზანაძე




მკითხველი ნუ შეცდება. ეს ნახატი არ წარმოადგენს კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს. ის არც „ცისა და მიწის შუა დაკიდული“ ბეთლემის მონასტერია, როგორც ილია ავციწერს „განდგეილში“, ხოლო მიჯაჭვული ობიექტის მაღლა, ორ ნაძვს შუა ჩამოკიდული ფრინველი „ბაში აჩუკში“ აღწერილი წერეთლის ქორი ნურავის ეგონება.

ეს გახლავთ უბრალო, პატარა ხულა—აგარაკ ტბაზე, (ბაკურიანის რკ. გზ. შტო). უფრო სწორად—იგი ბაქნის შენობაა. რა დააშავა, რატომ მიუჯაჭვავთ ეს შენობა? „დააშავა“ ის, რომ უყურადღებოდ, შეუკეთებლად მიტოვებულს—ბალავერის ბოძები მოაღბა, ნიადაგს მოსწყდა და დაღმარულზე დაცურება განიზრახა. მაგრამ ვინ გაუშვებდა? განა იმდენად უგულო კაცია რკ. გზ. შენობებისა და ნაგებობათა ხაშურის დისტანციის უფროსი

ლექავა, რომ ოდესღაც ლამაზი ბაქანი მოუსპოს ტბელებს? მან უმაღ მიიღო „გადამწყვეტი ზომები“: დაცურებული შენობა ჯაჭვებით მიაბმევინა ორ ფიჭვზე.

გადარჩა შენობა. ტბელებს შერჩათ ბაქანი! და რომ მისი სიმკვიდრე პირადად შეამოწმოს, ლექავა ხშირად ადის ტბაში, იმ ორ ნაძვზე ჰამაკს აბამს და თავისი პურ-მარილით მაღლიდან დასცქერის მიბმულ შენობას.

ჩინებული გამოგონებაა: ამიერიდან ვერსად გაიქცევა ტბის სადგური, აქ გამოხატული ორი მშვენიერი ფიჭვი ჯერ ნედლი და ჯანსაღია, მათი სიმკვიდრე და ტოტების საამო შრიალი ატკობს ლექავას სმენას,—იმდენად აბრუებს, რომ მას შენობის შეკეთებაც კი აღარ აგონდება.



—ენა უკვე უთმობს თავის ფუნქციებს უახლოეს გამოცდებებს, რომლებიც უმეველად სძლევენ სივრცეს... ჩვენი ენა დრომოკმული ხდება, შეიძლება უენოდაც იოლად წავიდეთ!..

ეკვილიბრისიკა

ეკვილიბრისიკა—ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ტანის წონასწორობის დაცვის ხელოვნება. უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან.

ნახ. ლაღისა



ერთი სწონის, ეშმაკურად ტურზე ღიმი ეპარება, მეორე კი ტანის რხევით სასწორს ისე ეფარება, რომ ცდილობთ და ვერ მიმხვდარხართ—გრამში რამდენ გრამსა გაპარეთ, მსგავსი ეკვილიბრისიკა არ გვინახავს, ვერ დაფარავთ.

მასხვილაკი

ქეივის სწორი დიაგნოზი

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



—თქვენი გული ჩინებულად მუშაობს, ფილტვებიც თავისუფლად ისუნთქავს სუფთა ჰაერს, ჰამის მადაც შესანიშნავი გქონიათ, ენა კი... პირდაპირ საკვირველია, — ენა არ გივარგათ, თქვენს ავადმყოფობაზე მიგვითითებს აშკარად!.. დიახ, დიახ, რა ვუფოთ, რომ ექიმი ვარ, მე თქვენი წიგნების მკითხველიც ვალავართ, პათოვცემულო მწერალო...

რედაქტორი კარლო კალაძე, საკრედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი (რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 17/VII. სტამბა „ზარია ვოსტოკა“. შეკ. № 1723. რუსთაველის პროსპ. № 42. გამოც. № 73. ტირ. 11.000. უფ02381



მოსავლის ზღვაში

— ამხანაგებო! მოსავლის ზღვაში მხარული ცურვით ფონს ვერ გავაღოთ, დროზე მოგვაშველეთ სამკელ-საღეწი მანქანები, კომბაინები და ბელლები, — ოქროსფრად ღელავს, დალოცვილი დოლის პური!